

დომენიკო სესტინი (Domenico Sestini, 1750-1832) - იტალიელი მოგზაური, რომელიც 1780-იანი წლებში მოგზაურობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ცნობები მისი მოგზაურობის შესახებ გამოქვეყნებულია ნაშრომში: „მოგზაურობა კონსტანტინოპოლიდან ბასრაში, 1781 წელს, ტიგროსისა და ევფრატის გავლით და დაბრუნება კონსტანტინოპოლში, 1782 წელს, უდაბნოსა და ალექსანდრიის გავლით.“¹ როგორც მისი ნაშრომიდან ირკვევა, მოგზაურის თავდაპირველი მიზანი საქართველოში მოგზაურობა იყო, თუმცა მოგვიანებით შეიცვალა და იგი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გაემართა სამოგზაუროდ. ნიშანდობლივია, რომ მოგზაური თავის ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას ქალაქებისა და მხარეების ზოგად დემოგრაფიულ და ეკონომიკურ მახასიათებლებზე ამახვილებს, რასაც ბუნებრივად ახლავს მისი დაინტერესება სხვადასხვა მუსლიმურ სახელმწიფოში მცხოვრების სომეხი ხალხის ისტორიის შესახებ.

სომხებზე:

« Les Arméniens font le plus grand commerce... Les Arméniens s’habillent ici différemment qu’à Constantinople, et d’une manière assez bizarre. Le grand *kalpac* arrondi qui surcharge leur tête, ressemble à une mitre persane. »²

„სომხები აქტიურ ვაჭრობას ეწევიან... სომხები აქ [ქ. თოქათი] განსხვავებულად იცვამენ, ვიდრე კონსტანტინოპოლში და საკმაოდ უცნაურადაც. დიდი მომრგვალებული კალპაკი [ერთგვარი თავსაბურავი] თავზე ახურავთ, რომელიც სპარსულ მიტრას ჰგავს“.

¹ Domenico Sestini, *Voyage de Constantinople à Bassora, en 1781, par le Tigre et l'Euphrate, et retour à Constantinople, en 1782, par le désert et Alexandrie, 1797* (traduit de l'italien)

² Ibid, 54.

« Le manière de s’habiller des Arméniens diffère un peu de celle des autres habitants de Diarbekir. Ils portent sur la tête un grand kalpac rouge, autour duquel est roulée et plissée, une large et longue bande de mousseline. »³

„სომეხების ჩაცმულობა ოდნავ განსხვავდება დიარბაქირის სხვა მაცხოვრებლებისგან. მათ თავზე დიდი წითელი კალპაკი ახურავთ, რომლის ირგვლივ მოქარგულია შიფონის ფართო და გრძელი ბაფთა.“

« On prétend que Nembrod en est, le premier fondateur. Les ruines qu’on voit au sommet de la montagne étaient, dit-on, son palais; le roi Abgar y a fait sa résidence... Ce roi Abgar est celui qui envoya faire le portrait de notre seigneur, et lui offrit des secours contre les Juifs. Les annales arméniennes disent que ce prince était arménien, et reçut le baptême d’un apôtre que Jésus lui envoya après sa résurrection. »⁴

„მის [ქ. ედესა, დღევანდელი ქ. ურფა] პირველ დამაარსებლად ნებროტს მიიჩნევენ. მთის წვერზე ნანგრევები, როგორც ამბობენ, მისი სასახლე იყო; აბგარ მეფის რეზიდენციაც იქ იყო... ეს ის მეფე აბგარია, რომელმაც ჩვენ უფალთან კაცი გაგზავნა მისი პორტრეტის დასამზადებლად და მას ებრაელებთან დაპირისპირებისას დახმარება შესთავაზა. სომეხთა მატთანეს თანახმად ეს მეფე სომეხი იყო და იმ მოციქულის მიერ მოინათლა, რომელიც თავად იესომ გაუგზავნა მას მკვდრეთით აღდგომის შემდეგ.“

მთარგმნელი გ. ფერაძე

ქვეყნდება პირველად

³ Ibid, 98.

⁴ Ibid, 263.

V O Y A G E
D E
C O N S T A N T I N O P L E

A B A S S O R A ,
En 1781,
Par le Tigre et l'Euphrate,

E T R E T O U R
A C O N S T A N T I N O P L E ,
En 1782,
Par le Désert et Alexandrie ;

P A R l'Académicien S E S T I N I .

Traduit de l'Italien par M. L. C. de Fleury



A P A R I S ,



Chez Dupuis, libraire, cour de l'Orangerie, aux Tuileries.
Et au Jardin de l'Orangerie, vis à vis la rue Florentine.

L' A N V I .

97